საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2026 წ.

ბრძანება №01-08/44

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 მაისის №05-01/04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დებულების“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. 2026 წლის 25 სექტემბერს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში-ბხსუ) ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობის 4 წლის ვადით დასაკავებლად.

2. ბხსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უმაღლესი განათლების მქონე პირმა, რომელსაც აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103), 2026 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.

4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე ბრძანების დანართის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

დ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ (შენიშვნა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.) გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ავტობიოგრაფია (CV);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) სამოქმედო გეგმა.

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს 2026 წლის 13 ოქტომბერს, 11 საათსა და 30 წუთზე.

6. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდეს 2026 წლის 13 ოქტომბერს, 12:00 საათზე.

7. ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას დაევალოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულებით“ გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე).

9. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, აიტი მენეჯერს, იურისტს და საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. № 30).

11. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მ. ალაფიშვილი**